

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ოქმი №31

კასპი

2016წლის 2 დეკემბერი

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარე - მანუჩარ მერებაშვილი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- ი. ზაქარიაძე

საკრებულოს წევრები - ზ. ჯავახიშვილი, ნ. კენჭუაშვილი, ხ. თათანაშვილი, ზ. ჩიტაშვილი, ზ. ოთარაშვილი, ო. ჭეიშვილი, გ. ბადაშვილი, მ. ბექაური, რ. კავთიაშვილი, გ. მამულაშვილი, ი. კიტრიაშვილი, ო. ქოსაშვილი, ა. გზირიშვილი, ქ. ხოდელი, გ. დარბიაშვილი, რ. ჯანგიშერაშვილი, ა. ბიძინაშვილი, შ. ბეგლარაშვილი, ი. ქამხაძე, ვ. ბეჟიტაშვილი, რ. ხიზანიშვილი, ნ. მიდელაშვილი, ვ. რაზმაძე, ა. მერებაშვილი, მ. ჯაბანაშვილი, ვ. საჩალელი, ი. ირემაშვილი, ვ. ხათაშვილი;

სხდომაზე მოწვეული დამსწრე პირები - ჯ. ქამხაძე- მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, რ. მაზმიშვილი-გამგებობის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, ზ. კოპაძე - გამგებობის იურიდიული სამსახურის უფროსი, თ. ხორბალაძე-მუნიციპალიტეტის გამგებობის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, გ. მელაძე- მუზეუმების გაერთიანების დირექტორი, თ. ბარნაბიშვილი- ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი, შ. გოგიაშვილი - სპორტის გაერთიანების დირექტორი, ლ. ჯანჯალაშვილი-სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი;

დღის წესრიგი

1. „კასპის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 20 ნოემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
2. კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით „კასპის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 20 ნოემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მოისმინეს ზ. ჩიტაშვილის მოხსენება.

ვ. ბეჟიტაშვილმა განაცხადა, რომ სპორტკომპლექსის საკალაბურთო ფარების შექმნა-მონტაჟის ღირებულება 45,5 ათასი ლარი, რომელიც მუნიციპალიტეტმა უნდა გადავიხადოთ საკმაოდ ძვირია. ამ თანხით კასპის ყველა სპორტული მოედნის ფარების ყიდვა შეიძლება. დაინტერესდა ვინ მოითხოვა ასეთი საკალაბურთო ფარები შექმნა და როდის იხსნება სპორტკომპლექსი? ასევე დაინტერესდა მუნიციპალიტეტს ყავს თუ არა გუნდი, რომელიც კალაბურთის ფედერაციაშია გაწევრიანებული? თუ არ გვყავს კიდევ რისთვის ვაკეთებთ ამ ყველაფერს?

თ. ხორბალაძემ უპასუხა, რომ კალაბურთის ფედერაცია და სპორტის სამინისტრო ითხოვს ასეთი ფარების დამონტაჟებას. სპორტკომპლექსის გახსნა 2016 წლის ბოლოს მოხდება. უმაღლეს ლიგაში არ გვყავს გუნდი, მაგრამ ამ სპორტკომპლექსში ჩატარდება უმაღლესი ლიგის შეჯიბრებები.

ო. ქოსაშვილი დაინტერესდა ამ ფარების შექმნით იწურება თუ არა სპორტკომპლექსში ინვენტარის შექმნა? უკეთესი იქნებოდა გაკეთებულიყო ერთნაირი ხარჯთაღრიცხვა მთლიანად რა ჭირდებოდა სპორტკომპლექსს.

ვ. ხათაშვილმა გამოთქვა აზრი, რომ სპორტკომპლექსზე დახარჯულია ამდენი თანხა და აღარ ღირს 45,5 ათასზე ლარზე ლაპარაკი, რადგან კალაბურთის ფარები ესაჭიროება უნდა შევიძინოთ მუნიციპალიტეტმა.

ვ. ბეჟიტაშვილმა და რ. კავთიაშვილმა მოითხოვეს ხუთივე ა.(ა)ი.პ-ის ხარჯთაღრიცხვა შესაბამისმა სამსახურის უფროსებმა წარმოგვიდგინონ დეტალურად, ჩაშლილი ფორმით.

ჩატარდა ღია კენჭისყრა, რომლის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება.

გადაწყვეტის:

მომხრე- 25 ხმა

წინააღმდეგი- მ. ბექაური, რ. კავთიაშვილი, ი. კიტრიაშვილი,

ო. ქოსაშვილი, ვ. ბეჟიტაშვილი

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ მოისმინეს ზ. ჩიტიშვილის მოხსენება.

ი. კიტრიაშვილი დაინტერესდა, როგორ მოხდება თანხის გადახდა?

სესხით, რომ არ ვიყიდოთ ნაგავმზიდები ისე ვერ მოხდებოდა მათი შექმნა?

ზ. ჩიტიშვილმა უპასუხა, რომ მუნიციპალიტეტმა ვერ შევძელით ყიდვა.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა მოგვმართა ურთიერთშორის სესხისა და ქონების გადმოცემის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. სესხის თანხა შეადგენს 176 499.00 ევროს, რომელის ანაზღაურებაც მოხდება გადახდის დღეს ეროვნულ ბანკის მიერ დაფიქსირებული ლარის მიმართ ევროს ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. სესხის ხანგრძლივობა შეადგენს 10 (ათი) წელს, რომლის დაფარვაც დაიწყება 2019 წლის 28 ოქტომბრიდან.

ა. ბიძინაშვილი დაინტერესდა, რომელ სოფლებზე კონკრეტულად გათვლილი ნარჩენების კონტეინერების განაწილება? ზ. კოპაძემ უპასუხა, რომ ნარჩენების კონტეინერები დაიდგმევა ყველა სოფლის ცენტრებში, სადაც გადის ცენტრალური მაგისტრალი.

ა. გზირიშვილი დაინტერესდა როგორი ზომის მანქანებს ვიძენთ მუნიციპალიტეტი?

ზ. კოპაძემ უპასუხა, რომ მოხდება პატარა ნაგავმზიდების შეძენა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა, რომლის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება.

გადაწყვიტეს:

მომხრე- 25 ხმა

წინააღმდეგი- ო. ქოსაშვილი, ვ. ბეჟიტაშვილი

ვ. ბეჟიტაშვილმა ინფორმაციის სახით გააჟღერა, რომ სოფელ სასირეთში დამონტაჟებულ იქნა გენერალ მაზნიაშვილის ბიუსტი. მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურმა დოკუმენტების არ ქონის გამო მოახდინა ბიუსტის დემონტაჟი. რა დოკუმენტებიც მოითხოვა ზედამხედველობის სამსახურმა ყველნაირი საბუთი ჩავაბარეთ, ორი თვეა ბიუსტის დაბრუნების შესახებ პასუხი ვერ მივიღეთ. ბიუსტი იქნა თავის ადგილას დაბრუნებული.

ამით საკრებულოს სხდომამ დაასრულა მუშაობა.

ოქმს თან ერთვის დანართი: 33(ოცდაცამეტ) ფურცლად

სხდომის თავმჯდომარე

მანუჩარ მერებაშვილი: